ხუთშაბათი, 24 იანვარი 1908 წ.

# ისარი

წელიწადი მეორე—№ 19

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

**ეკატერინე, ბაბალე, კოწო და პოლე ცინცაძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველი—დაუვიწყარ შვილისა, მეორე—ძვირფას მეუღლის, ხოლო დანარჩენნი საყვარელ დის

## ნინო | ანნა | ზუმბულაძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე, დილის 12 საათ. და საღამოს 6 საათზე. ეგზარხოსის მოედანი, სახლი მელიქსედბეკოვისა, № 12. გამოსვენება შაბათს, 26 იანვარს, კალოუბნის ეკკლესიაში, დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3—6.—1)

**კირილე ალექსანდრეს ძე, დეკანოზი ალექსანდრე, პელაგია როსტომის ასული ზუმბულაძენი, ოლღა ალექსანდრეს ასული კნ. ჩერქეზიშვილისა, ელისაბედ ალექსანდრეს ასული გამრეკელისა და მართა ალექსანდრეს ასული ხასაშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველი დაუვიწყარ მეუღლის, ხოლო დანარჩენნი—ძვირფასის რძლის

## ნინო | ანნა | თომას ასულის ზუმბულაძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე. გამოსვენება 26 იანვარს. (3—6.—1)

**ოლღა თომას ასული და მღვდელი ისიდორე კვიჟინაძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველი—დაუვიწყარ დის, ხოლო მეორე—ცოლის დის

## ნინო | ანნა | თომას ასულის ზუმბულაძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე. გამოსვენება 26 იანვარს. (3—6.—1)

**ანნა, კატო, ნინა, კოტე ნიკოლოზ, სოფიო, გიორგი და თედორე გუ**ლითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას შვილის, მეორენი—ძმის, მესამე—ძმის წულის, მეოთხენი—დისწულის, ხოლო უკანასკნელნი ცოლის ძმის

## ივანე ალექსანდრეს ძის გვარამაძისას.

ცხედარს გამოასვენებენ მიხაილოვის საავადმყოფოდან ხუთშაბათს, 24 იანვარს, დილის 9 საათზედ, ქაშვეთის ეკკლესიაში და დაკრძალავენ წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—50—1)

**მარიამ სოლომონის ასული რატიშვილისა** თავის ძეულლით **ივანე გიორგის ძე რატიშვილითურთ** გულითადს მადლობას უძღვნის ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო მის მწუხარებაში და პატივი სცა მის დაუვიწყარ მამას გარდაცვალებულ

## დეკანოზს სოლომონ ელიოზიშვილსა,

ხოლო უმეტესად მადლობს სამღვდელო პირთა სამღვდელ-მოქმედო შრომისათვის. (1—49—1)

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა.**

პარასკევს, 25 იანვარს, **დაკლებული ფასებით** წარმოდგენილი იქნება:

„ბ ა ლ კ ა“

ოპერ. 4 მოქ. მუს. მოწუშკოსი.

კაპელმეისტერი **ფაღიაშვილი.**

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი გორინა, ფეოდოროვა; ბ-ნნი გავრილოვი, გრინევი, კარლაშევი, მაზინი, ენგელ-კრონი. დასაწყისი 8 საათზე.

26 იანვ. კაპ. გოლინკინის ბენეფისი—„რობერტ-დიაბოლი“. (0—39)

## ძმ. ნიკიტინების ცირკი.



ხუთშაბათს, 24 იანვარს, 1908 წელს, **დიდი საგანგებო წარმოდგენა** სამ მოქმედებად. უკანასკნელი გასტროლი ერთად-ერთ არტისტის დედა-მიწაზე წყალ-ქვეშ მცურავ ქ-ნ ვანდერ-ვალდისა. ცხელ აუზში ჩახტება დიდ სიმაღლიდან. ვან-დერ ვალდი მესამე მოქმედებაში გამოვა. მონაწილეობას იღებენ აგრეთვე კლოუნები, გიმნასტები და სხვანი. დასასრულ პანტომიმა ფერია: „ცეკვა აღმოსავლეთ ხალხისა“. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე. აწვრილებით პროგრამებში.

(1—45—1) დირექტორი **აკიმ ნიკიტინი.**

## ნიშადური* № 24

გამოვა შაბათს, 26 იანვარს, პროვინციაში კვირას.

წერილები, ლექსები, იგავ-არაკები, პუბლიცისტიკა, ნახატები და კარიკატურები

**ფასი ყველგან 10 კაპ.** რედაქტორ-გამომცემელი გაბ. გუნია.

## სამშობიარო სახლი

ბებია-ქალის რ. ზ. კრინსკისა ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 47, ტელეფ. № 646. მიიღებიან მშობიარენი და ფეხმძიმენი ყოველ ჟამს დღეცა და ღამეც. კარგი მოვლა და მუდმივი საექიმო დახმარება. არის ოთახი საიდუმლოთათვის. პირობები: საზოგადო პალატაში დღე-ღამეში 2 მ., მშობიარობა 6 მ. ცალკე ნომერი და გინეკოლოგიური ავადმყოფნი შეთანხმებით. მიღება ავადმყოფთა ქალის ავადმყოფობით და ძიძების გასინჯვა ყოველ დღე ნაშუადღევის $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. (10—11—8)

## 26 იანვარს 1908 წელს

**საარტისტო საზოგადოების ზალაში**

### ქართველ დრამატიულ საზოგადოების ქონების გასაძლიერებლად

გაიმართება **ბ ა ლ ი** გაიმართება

შესვლის ფასი 2 მან. 10 კ.

(1—1) დიასახლისი ბალისა ეკატერინე ივანეს ასულის სარაჯიშვილისა.

**ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში**

ხუთშაბათს, 24 იანვარს, 1908 წ ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

**ილია ჭავჭავაძის «გლახის ნაამბობიდან» გადმოღებული**

I **ბატონი და ყმა** დრამა 3 მოქმ. შ. დადიანის მიერ გადმოკეთ. | II **სიძე-სიმამრი** კომედ. 3 მოქმ. ვ. გ. მიერ გადმოკეთებული.

**მონაწილეობას იღებს მთელი დასი.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

მორიგი წევრი გამგეობის **ნ. გრიშაშვილი.** რეჟისორი **ვ. გუნია.**

## შეშის საწყობი

### გ. ტ. კუტალაძისა

ამით აცხადებს, რომ საქმის შეწყვეტის მიზეზით იყიდება ძალიან იაფად ყველა ნაირი შეშა. საწყობი ღიაა დილიდან საღამომდე. ამასთანავე იჯარით იცემა ესავე ადგილი, ზომით 600 საჟენამდე; გამოსადეგია როგორადაც ხე-ტყის საწყობად, ისე ყველა ამ ნაირ საქონლისათვის. იჯარის შესახებ პირობების გაგება შეიძლება ყოველ-დღე, დილის 9—12 საათამდე. ადრესი დიდი მთავრის ქუჩა, № 81. ვაჟთა მეორე გიმნაზიის პირდაპირ. (3—38—3)

კბილის ექიმი

**იოსებ ზაქარიას-ძე კანდელაკი**

იღებს კბილის სნეულ ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს და ღრძილებს; უღებს უვარგის კბილებს აუტკიებლად, აშორებს პირიდან ცუდ სუნს, უკეთებს პლომბებს ყოველგვარ მასალისაგან და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველგვარ მეტოდზე; კაუჩუკზე, პლატინაზე და ოქროზე, აგრეთვე სხამს კბილებს შტიფტებზე უპლასტინკოთ და კბილებს პროფესორ ლოგანის მეტოდზე, ვორონცოვის ძეგლის ახლოს, რაზიეჟი ქუჩა № 11 იღებს 9—2 და 4—7. (25—6.—10

ე ქ ი მ ი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო კაბინეტი**

მიხეილ ვედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—35)

კბილის ექიმი

**ალ. ხოლოდაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 2 (0—279)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—554—15)

ე ქ ი მ ი

**მ. მ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, ნივთიერებათა და კანით ავადმყოფებს.** 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, ოსხელიანის სახლში. (25—ფ.—14)

ე ქ ი მ ი

**მ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ე ქ ი მ ი

**გ. ნ. მ ა გ ა ლ ი ა ნ ი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვების სნ.** სპეციალური ექიმია **გულის და ნაწლავებისა,** მიღება: დილით 12—1 საათ., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. პავლენიძისა. (25—წლ.)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

**დაბრუნდა** და იღებს ავადმყოფებს საღამოობით 6—7 საათ. (კვირას გარდა). სლეპცოვსკაია № 5 (ანსტას. ქუჩ. კუთხე). (წ.)

**ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი

**ე. დ. ნ ა ს ა რ ი ძ ე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

## განცხადება

**ტფილისის მეორე საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა** ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოქმედება დაიწყება პარასკევს, 25 იანვარს.

საზოგადოების ბინა არის შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში. (2—46—1)

## „ტფილისის სობრანიე“.

ხუთშაბათს, 24 იანვარს, 1908 წ.

**საოჯახო საღამო**

ბ-ნთ წევრთა, კანდიდატთა, მათ ოჯახთა და სტუმართათვის რუს-მალოროსიულ დრამატ. და საოპ. არტისტთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## „ატამანი კარკუშა“

ისტ. სურათები 3 განყოფილებად მალოროსიის შეერთების დროიდან. ნაციონ. ტანის., სიმღერა, ხოროები და ცეკვა. თხზ. სტოროჟენკოსი. მეორე მოქმედებაში შეასრულებენ ცეკვას იარაღით.

**მონაწილეობას იღებს მთელი დასი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (1—43—1)

მეჩექმეთა ამხანაგობა

## ნდობამ

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ავაზაკმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ მან საუკეთესოდ მოაწყო სახელოსნო განყოფილება, სადაც კეთდება შევროს, ხრომისა და ჩვეულებრივ მასალის ჩექმები, პოლსაპოჩკები როგორც ქალისა და კაცისა, ისე ბავშვებისა. სივიწროვისა გამო იყიდება თითქმის მასალის ფასად. ვთხოვთ შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს, რომ თავისი განზრახვა დაიკმაყოფილოს. ამხანაგობა იმყოფება კიროჩნი ქუჩაზედ, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ. აგრეთვე ვთხოვთ, ვისაც-კი რა წაულია ნისიად, დროზედ დაუბრუნოს მტრისაგან ნაწამებ ამხანაგობას და იძულებულს ნუ ჰყოფს გაზეთებში გამოაცხადოს მათი სახელი და გვარი.

(20—6.—2) გამგე **ზ. ზურძნიშვილი.**

## ტფილისი, 24 იანვარი.

ეს ერთი ხანია მკითხველებთან არ გვისაუბრნია ეგრედ წოდებულ „მაღალ პოლიტიკაზე“. მიზეზი ადვილად გასაგებია: ყოველივე უცვლელად რჩება ჯერ-ჯერობით ამ სფერაში და ორიოდე ახალი ფაქტი იმდენად უმნიშვნელოა, რომ დიდ ინტერესს ვერ გამოიწვევს.

ავიღოთ თუნდ სახ. სათათბიროს მოღვაწეობა. რაც დღე მიდის, მით უფრო და უფრო უფერული და უსიცოცხლო ხდება ეს მოღვაწეობა. მთავრობისა და მემარჯვენეთა მეცადინეობით ის მცირე ნაპერწკალიც-კი ჩაჰქრა, რომელიც ვითომ კიდეც ღვიოდა მესამე სათათბიროს გულში ამ ორი-სამი თვის წინად. სათათბირო დასცურავს იმ ქაღალდის მორევში, რომელიც შექმნეს ბიუროკრატიის ათასმა კანცელარიებმა. წვრილ და უმნიშვნელო კანონ-პროექტების მორევი ყოველ დღე იზრდება და ლამის არის სათათბირო შიგ ჩაიხრჩვეს. მთავარი საკითხებიკი, რომლებისგან დამოკიდებულია რუსეთის ბედი და უბედობა უმოძრავად განისვენებენ. სამითვე გადის აგერ და სათათბიროს მათ შესახებ მსჯელობაც-კი არ ჰქონია ჯერ, ხოლო წვრილმანი პროექტები იმდენია, რომ სათათბირო ხუთ წელიწადსაც ვერ მოერევა მათ... ამ დღეებში კადეტებმა მოისურვეს სათათბიროს მუშაობის გაცხოველება და წარადგინეს პროექტი სახალხო წარმომადგენლობის საბიუჯეტო უფლების გაფართოების შესახებ. მოსალოდნელი იყო, რომ ესეთი წინადადება შეუმჩნევლად არ დარჩებოდა, რადგან ზომიერ კონსტიტუციონალისტებსაც-კი ეჩოთირებათ ის მცირე როლი, რომელიც 8 მარტის კანონმა მიანიჭა პარლამენტს ბიუჯეტის საქმეში, მაგრამ სათათბიროს უმრავლესობა ამ საგანსაც უგულოდ მიეგება და კინაღამ უარჰყო კადეტების პროექტი. სხვა რამ თვალსაჩინო სათათბიროს უკანასკნელ ხანის ცხოვრებაში არაფერია: იგი მორჩილად მისდევს მთავრობას, სინიდისიერად ასრულებს უბრალო კანცელარიის როლს და გულგრილად უცქერის ქვეყნის ტანჯვას, გულგრილად უცქერის, რომ ახლად აღორძინებული ბარბაროსული რეაქცია ყოველ ზომიერებასა ჰკარგავს ძველის რეჟიმის აღდგენის მაცადინეობაში.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს რეაქცია დღითი-დღე ძლიერდება. საქმე იქამდისაც მივიდა, რომ სტოლიპინის სამინისტროც ველარ აკმაყოფილებს რეაქციონურ მაღალ სფერებს და დღე-დღეზე მოელიან მის გადაყენებას. უფრო და უფრო ხშირად იხსენიება დურნოვოს, შვანებახის, ტრეპოვის და სხვა უკიდურეს რეაქციონურ ბიუროკრატების სახელები, რომელთაც „უშიშრად შეუძლიათო საბოლოოდ ლიკვიდაცია უყონ განმათავისუფლებელს მოძრაობასაო“, როგორც ოცნებობენ ჭეშმარიტი რუსები... მაგრამ ამ ამბებს, რასაკვირველია, არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს: რეაქციის კურსი სტოლიპინსაც მშვენიერად მიჰყავს და, თუ დაატყო, რომ მის წინააღმდეგ ინტრიგა იზრდება, არ გაუჭირდება და არ გაუძნელდება თავისი პოლიტიკა კიდევ უფრო გადახაროს მარჯვნით, ოღონდ „შეურიგებელ რეაქციის“ გული მოიგოს. პოლიტიკის ასეთ გადახრას სტოლიპინი კიდეც შეუდგა, როცა მაღალ ბიუროკრატიულ სფერების საოცნებო გეგმა „რუსეთის ფლოტის განახლების“ შესახებ რეალურ პოლიტიკის საქმედ გახადა. ვის დაავიწყდებოდა ჯერ, როგორ სამარცხვინოდ დალია თავისი დღენი რუსეთის „საზღვაო ძლევამოსილებამ“? დიდი ფლოტი, რომლის შექმნა რუსეთს დაუჯდა რამდენიმე მილიარდათ, დამპალი აღმოჩნდა და ასეთივე დამპალ-გათახსირებული აღმოჩნდა მთელი ის საზღვაო უწყება, რომელიც ამ ფლოტს აშენებდა. იმ „სამარცხვინო დროს“ ყველა იმ აზრით გაიმსჭვა-

ლა, რომ რუსეთის სამხედრო ძალების აღდგენა მხოლოდ განახლებულ სახელმწიფოს შეუძლია, რომ თვითმპყრობელმა ბიუროკრატიამ სამუდამოთ გაიტეხა სახელი და ამიერიდან ვერც-კი გაჰბედავსო ფლოტის აღორძინებაზე ოცნებასო. უზომიერესი საზოგადო წრეები და თვით ბიუროკრატიაც იმ აზრისა იყო მაშინ, რომ ფლოტის აღდგენას წინ უნდა წარუძღვეს სახელმწიფოს განახლება, რუსეთის კულტურის აღორძინება, რომ უამისოდ ყოველი ცდა გარეგან ძლევამოსილების აღდგენისათვის ამაოდ დარჩებაო. მაგრამ გავიდა ხანი, რეაქციამ გაიმარჯვა და დატრიალდა „რული“ რესტავრაციის სუნიც. ძველს თვითმპყრობელს ბიუროკრატიასაც ძველი მადა დაუბრუნდა და კვლავ მოინდომა მილიარდებში ხელის ჩაყოფა. ჯერ ამ ოცნებაზე ყრუ ხმები დადიოდა და ამბობდნენ, რომ მთავრობა არ თანაუგრძნობს ერთ მუჭა რეაქციონერ ბიუროკრატებსაო, მაგრამ უკანასკნელ ხანში გამოირკვა, რომ ერთის ჯგუფის ოცნებას ფრთები შეუსხამს და სტოლიპინის სამინისტროსაც უკვე თავის პროგრამაში შეუტანია ფლოტის აღორძინების გრანდიოზული გეგმა. მოკლე ხანში სათათბიროს კიდეც უნდა გამოსთქვას თავისი აზრი ამის შესახებ, ე. ი. თვითმპყრობელ ბიუროკრატიას უნდა ჩაუგდოს ხელში მილიარდი მანათი ისევ დამპალ ფლოტის შექმნისათვის ან არა და უარი უთხრას და ამით თავის არსებობაც განსაცდელში ჩააგდოს. რიხიანი მუქარა კიდეც გაისმა ჰაერში: თუ სათათბირო უარს იტყვისო, დათხოვნილი იქნებაო. სათათბიროს უმრავლესობაც, რასაკვირველია, გმირობას ვერ გამოიჩენს და, სულ თუ არა, საკმაოდ მაინც მოიხრის ქედს ალვირაშვებულ რეაქციის წინაშე. ამგვარად, „მაღალ პოლიტიკაში“ ყოველივე თავის ადგილას დარჩება: თვითმპყრობელობითი კონსტიტუცია განაგრძობს ძველის რეჟიმის აღდგენას...

# დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**პეტერბურგი**. სათათბირომ განიხილა მოხსენება ტიმოშკინის არჩევის შესახებ. მთელი ოპოზიცია წინააღმდეგი იყო არჩევნების დამტკიცებისა და აღნიშნა არჩევის დროს კანონის დარღვევა. ცენტრმა და მემარჯვენეებმა პოლიტიკური მოსაზრებანი მოიყვანეს. სათათბირომ დაამტკიცა არჩევნები, მაგრამ დაადგინა—უკანონო მოქმედებათა შესახებ ეცნობოს მინისტრს.

სათათბიროს დახურულ კრებაზე, პურიშკევიჩმა კათედრიდან მილიუკოვს მოღალატე უწოდა. ასტყდა საშინელი ხმაურობა. მემარცხენეებმა მოითხოვეს პურიშკევიჩის დათხოვნა. პურიშკევიჩი მილიუკოვს უყვიროდა: „მერზავეც!“ „პოდლეც!“ „მშიშარა!“ იწვევდა ხმალში. თავმჯდომარემ წინადადება მისცა, ბოდიში მოეხადოს. პურიშკევიჩმა კვლავ გაიმეორა თავისი სიტყვები. ასტყდა უარესი ხმაურობა. სათათბირომ მიიღო თავმჯდომარის წინადადება—დათხოვნილ იქნას პურიშკევიჩი და აეკრძალოს მას 15 კრებაზე დასწრება.

# ახალი ამბავი

✦ **რკინის გზის მოხელეთა საქმე.** სამოსამართლო პალატაში რკინის გზის მოხელეთა საქმის შესახებ კამათმა გუშინ ნაშუადღევის 4 საათამდე გასტანა. ვექილებმა რამდენსამე საათს ილაპარაკეს. პალატა უკვე შეუდგა თათბირს განაჩენის შესადგენად. შესაძლებელია, განაჩენი დღეს, 24 იანვარს, გამოაცხადოს.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწე.** როგორც რუსული გაზეთი „სლოვო“ გადმოგვცემს, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი შატილოვი თანამდებობას თავს ანებებს.

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს, ხუთშაბათს, სახაზინო თეატრში ქართული დასი წარმოადგენს პირველად ახალ პიესას „ბატონსა და ყმას“, რომელიც გადმოღებულია ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „გლახის ნაამბობი“. პიესა საინტერესოა და კარგადაც არის გადმოღებული სცენისათვის, განსაკუთრებით მეორე მოქმედება. პიესის შემდეგ წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია 3 მოქ. „სიძე-სიმამრი“, რომელშიაც შეუდარებელია ვასო აბაშიძე და სხვანი. იმედია, ჩვენი საზოგადოება ჩვეულებრივ გულგრილობას არ გამოიჩენს და დაესწრება ამ საინტერესო წარმოდგენას, მით უფრო, რომ ჯერ თვე ნახევარია ქართული წარმოდგენა არა ყოფილა სცენის უქონლობისა გამო.

✦ **გუბერნატორი ბორჩალოში.** ამ დღეებში ტფ. გუბერნატორი ლოზინო-ლოზინსკი სამსახურის საქმეებისა გამო ბორჩალოს მაზრაში მიდის.

✦ **სამეურნეო საზოგადოება.** 22 იანვარს კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა მიწათმოქმედების დეპარტამენტის მოწერილობა ანგარიშის წარდგენის შესახებ. საბჭოს ანგარიშები მზადა ჰქონია. ანგარიშების გადასათვალიერებლად შეიკრიბება 25 იანვარს და შემდეგ მოიწვევს საზოგადო კრებას ანგარიშების მოსასმენად, ხარჯთაღრიცხვის განსახილველად და საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად.

✦ **ძველი ქართული ფული.** „კავ.“ სწერს: ლონდონის მუზეუმი იძენს ძველ ქართულ ფულის კოლექციას, რომელიც ი. ს მეტველევს შეუგროვებია. ამ კოლექციაში არის თურმე უძველესი ფული, საქართველოს ისტორიის პირველ დროისა. წინად ეს კოლექცია გროშის ფასად შეაძლიეს წერა-კითხვის გამავ. საზოგადოებასო.

✦ **განაჩენის აღსრულების შესახებ.** გაზეთებში აღნიშნული ამბავი, ვითომ ქუთაისში, თანახმად სამხედრო სასამართლოს განაჩენისა, კეკუა ჩამოეხრჩოთ, მართალი არ გამოდგა.

✦ სოფიო ბარისაშვილი ცოლი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იგი ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება და თხოულობს ან ძიძის, ან ხელზე მოსამსახურის ადგილს. ადრესი: თამარის ქუჩა, № 21, სახლი ხმალაძისა.

✦ პოლიციამ დააპატიმრა ვასილ გაგუა და ვიკენტი ჟუკოვსკი, რომელთაც ყალბი სამ მანეთიანი აღმოაჩნდათ.

✦ როგორც გავიგეთ, ტფ. მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელი შუამავალი გიორგი მაჩაბელი სხვა მაზრაში გადაჰყავთ.

✦ ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობის მოხელეებს იანვრის ჯამაგირი ვერ დაურიგეს, რადგან კასაში ფული არ არის და არც იციან როდის შეიძლება მიეცეთ ფული.

## ილიას ხსოვნას

(წერილი მოსკოვიდან)

წარსულ გაზაფხულზე დაარსებულმა მოსკოვის ქართველთა საზოგადოებამ, სხვა ქართულ დაწესებულებებთან ერთად, იგლოვა ძვირფას მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის დაკარგვა. 20 დეკემბერს უკვდავ ილიას პატივსაცემლად ამავე საზოგადოებამ გამართა მოსკოვში სალიტერატურო საღამო, რომლითაც შეეცადა გაეცნო მოსკოვის ქართველობისათვის და რუსის ინტელიგენციის წარმომადგენლებისთვის ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა. ხოლო 14 იანვარს, ნინოობა დღეს, მოსკოვის ქართველმა საზოგადოებამ, თავის საზოგადო კრების დადგენილებებით, ილიას ხსოვნა სამუდამოდ აქცია; საზოგადო კრებამ გადასწყვიტა, გაგზავნილ იქნას წერა-კითხვის საზოგადოებაში ასი მანეთი ილიას ფონდისთვის და, ამასგარდა, იყოლიოს მოსკოვის მოსწავლეთა შორის ერთი სტიპენდიატი ილიას პატივსაცემლად.

საზოგადოებას განზრახვა აქვს, ყოველ წლივ, ილიას დაბადების დღეს, გამართოს ხოლმე სალიტერატურო საღამო, რომელიც ეძღვნება ჩვენს საუკეთესო მწერლებს და მოღვაწეებს.

## არტისტი და დრამატურგი ა. ი. სუმბათაშვილი (იუჟინი)

დღეს, 24 იანვარს, 25 წელიწადი შესრულდა, რაც ა. ი. იუჟინი რუსეთის სამწერლო, სარტისტო და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა. დღეისთვის რუსეთის საზოგადოება საერთოდ და მოსკოვისა კერძოდ ემზადება იუბილეის გასამართად.

მამა იუჟინისა ქართველი იყო, გვარდიის ოფიცერი, დედა—რუსი, მეტად განათლებული და იშვიათი ადამიანი. არტისტი ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც მისმა მამამ გვარდიის თავი მიანება და საქართველოში გადმოვიდა მომრიგებელ შუამავლად. ალექსანდრე სუმბათაშვილი ტფ. პირველ გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც მეორე მწერალ გ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად სწავლობდა. თავდაპირველად იუჟინი გიმნაზიაში კარგად სწავლობდა, მაგრამ რომ წამოიზარდა, გიმნაზიის სისტემამ რეჟიმმა თავისი გავლენა იქონია მასზე.

ნიჭი იუჟინმა გამოიჩინა გიმნაზიაშივე, სადაც მან ჩაცკის როლი ითამაშა. გიმნაზიის გათავების შემდეგ იუჟინი მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე. სამწერლო მოღვაწეობა იუჟინმა პირველ კურსიდანვე დაიწყო. 1877 წელს მან დასწერა დრამა „ცხოვრების უფლებას“. უნივერსიტეტში ყოფნის დროსვე დაიწყო თამაში სცენაზე. გათავებისასვე დებიუტი მისცა (ჩაცკის როლი) მოსკოვის საიმპერატორო თეატრში და მას შემდეგ 25 წლის განმავლობაში ამ თეატრს არ მოშორებია.

დიდი სამსახური დასდო სუმბათაშვილმა რუსულ სცენას. რუსეთის გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ; თუმცა იუჟინი ნიჭიერი კაცია, მაგრამ იგი მარტო ამით არ დაკმაყოფილდა; ის ყოველთვის გულ მოდგინედ მუშაობდა ხელმე და სცდილობდა, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, განევითარებინა თავისი ნიჭი. იუჟინის ნიჭს ევროპაშიაც აქვს გავარდნილი სახელი.

იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც ნიჭიერი დრამატურგი. ამ 25 წლის განმავლობაში აუარებელი პიესა დაუწერია და რუსეთში თეატრი არ არის, სადაც იმის პიესებს არ არდგენდნენ. ზოგი პიესა ევროპიულ ენებზე გადათარგმნილი და წარმოდგენილი.

ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს სუმბათაშვილის პიესებს, განსაკუთრებით იმის „ღალატს“.

## ს. სამართლო

საქმე გურიის აჯანყების შესახებ

22 იანვარს პალატა შეუდგა მოწმეთა გამოკითხვას. პირველად ჩვენება ჩამოართვეს ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფს ლაზარენკოს. თავმჯდომარის შეკითხვაზე, ლაზარენკომ დაწვრილებით ილაპარაკა მოძრაობაზე, შეეხო ჩოხატაურის საბოქაულოს სამმართველოს აკლებას, ნასაკირალზე თავდასხმას და სხვას. როგორც ერთს მთავარ მოწმეს ლაზარენკოს 2 საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ ჯერ თავმჯდომარე, შემდეგ ბრალმდებელი პოპოვი და განსაკუთრებით გამგეობის წევრი ა. ი. ხატისოვი. სხვათა შორის, ლაზარენკომ განაცხადა, რომ გურიის უმთავრესი კომიტეტი წინად ბათუმში იყო და პირველად აქედან დაიწყო მოძრაობა. [illegible] გაძლიერდა საქმე. ბათუმის კომიტეტს გამოეყვნენ წევრები და გურიისათვის განსაკუთრებული კომიტეტი შესდგა, რომელმაც ბინა გაიჩინა ოზურგეთში. კომიტეტი იდგა თუმანოვის სახლში, კომიტეტის წევრებად იყვნენ, რამდენადაც საიდუმლოდ ცნობები შევკრიბე, გამომძიებელი ხარაძე, ქალაქის ექიმი და სხვა. მთელი ავან ჩავანი, მოძრაობის სულის ჩამდგმელი და მეთაური იყო ბენია ჩხიკვიშვილი. კომიტეტის სურვილი და მიზანი იყო ადგილობრივი ცხოვრება ფედერატიულად მოეწყო. ნასაკირალის თავდასხმა, როგორც შემდეგ გავიგეთ, წინ და წინვე იყო მოწყობილი და რადგან კომიტეტის ზოგიერთი წევრები წინააღმდეგნი იყვნენ ამ განზრახვისა, ამიტომ ეს უფრო ანაზდეულად თავმოყრილ ხალხის საქმე უნდა ყოფილიყო. ეს საქმე რომ წინ და წინვე მოეწყოთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ყველას დაგვხოცავდნენ და თოფებს წაიღებდნენ, რადგან 4000-მდე კაცი მაინც იყო ჩასაფრებული. ყუმბარა სამჯერ გვესროლეს. სულ მოგვიკლეს 16 კაცი. კომიტეტს ჰქონდა თავისი სტამბა და დროგამოშვებით პროკლამაციებს ავრცელებდა ხალხში. ჩვენც ვალდებულებისამებრ თითო ცალს პროკლამაციისას ჟანდარმთა სამართველოში ვგზავნიდით. კომიტეტის წევრებს მე არ ვიცნობ, ვიცი მხოლოდ, რომ უმთავრესი მომქმედნი იყვნენ ჩხიკვიშვილი და მამულაიშვილი.

**ბრალმდებელი.** რითი შეგიძლიანთ დაამტკიცოთ ჩხიკვიშვილისა და მამულაიშვილის შესახებ, რომ ისინი უმთავრესი მომქმედი პირნი იყვნენ და მოძრაობას წინ უძღოდნენ?

**ლაზარენკო.** ფაქტიურად მე ამისა დამტკიცება არ შემიძლიან და არც არავითარი საბუთი მაქვს, ხოლო თუ რამე ვიცი, ეს აგენტებისაგან შეკრებილ ცნობების წყალობით.

თავმჯდომარე და ხატისოვი შეეკითხნენ აგრეთვე, რევოლიუციონურ მოძრაობის დროს რომელ ინსტრუქციით ხელმძღვანელობდა მაზრის ადმინისტრაცია.

**ლაზარენკო.** როდესაც ქუთაისში გუბერნატორად სტაროსელსკი დანიშნეს, მან ჩამოსვლისთანავე დაკვიბარა და საადმინისტრაციო თათბირის დროს, სხვათა შორის, გვითხრა, მოძრაობისათვის ჩვენ მაზრის უფროსებს წინააღმდეგობა არ გაგვეწია. მხოლოდ მაშინ შეგვეძლო ხმის ამოღება და რაიმე განკარგულების მოხდენა, როცა შევნიშნავდით რაიმე ძალადობას, მაგ. მკვლელობას, ძარცვას და სხვას. როცა სტაროსელსკი გურიაში ჩამოვიდა, იმის მატარებლის ორთქლმავალი წითელის დროშებით იყო მორთული, ხოლო ვაგონიდან ხალხში პროკლამაციებს ისროდნენ. გუბერნატორმა არა თუ მოისურვა დახოცილების ნახვა, არც კი გამომკითხა რამე. საზოგადოდ, სტაროსელსკი ძალიან რბილად ეკიდებოდა მოძრაობას. იგი უფრო ყურადღებით უსმენდა და იღებდა გარემეებს, ვიდრე მე. მაგ. ჩემზე უწინ მან მიიღო ილია ნაკაში-

# ფელეტონი

## ოსმალეთის სარევოლიუციო პარტიების შეთანხმება

ოსმალეთის რეჟიმი ყველასაგან ცნობილია: დესპოტი სულთანი, გარყვნილი და გაუმაძღარი მინისტრები, კარის-კაცები და მოხელენი უწყალოდ აძრობენ ტყავს ოსმალეთის ყველა მცხოვრებს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. არავითარი კანონი, არავითარი სამართალი არ არსებობს ოსმალეთის მტარვალებისათვის; უუფლებო და უსწორო ხალხი საუკუნოების განმავლობაში კვნესის და იტანჯება აუტანელ უღელ ქვეშ.

ზოგი ქრისტიანი ხალხი, ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ სრულიად მოშორდა ოსმალეთს და ცალკე სახელმწიფო დაიარსა, რადგან თვით ოსმალეთის საზღვრებში შეუძლებელი გახდა აუტანელ მდგომარეობის გაუმჯობესება. განთავისუფლდა საბერძნეთი, სერბია, ბოლგარია, რუმინია. ქრისტიან ხალხთაგან სულთნის ქვეშევრდომად მაკედონელები და სომხებიღა დარჩნენ.

მაკედონელებიცა და სომხებიც ტრადიციულ გზას დაადგნენ: ვიტანჯებით, ვკვდებით და უნდა მოვშორდეთ ოსმალეთსო. რაკი ასეთი მიზანი დაისახეს, ბრძოლის ტაქტიკაც შესაფერი აირჩიეს: ოსმალეთს ვერ გაუმკლავდებოდნენ პირდაპირ ვერც მაკედონელები და ვერც სომხები, ამიტომ მათი მეთაურები განათლებულ ევროპაზე ამყარებდნენ თავიანთ იმედს—მოვიპოვოთ განათლებულ ხალხების თანაგრძნობა და ისინი აიძულებენ ოსმალეთს სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოგვანიჭოსო. მართალია, პირდაპირი აჯანყებაც გაუმართავთ, როგორც სასომხეთში, ისე კიდევ უფრო მაკედონიაში, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ სისხლის ღვრა გამოეწვიათ ევროპის საზოგადოებრივი აზრი აემოძრავებინათ და დაეჩქარებინათ ევროპელების ჩარევა ოსმალეთის საქმეში.

დიდი ენერგია დაიხარჯა, კიდევ მეტი სისხლი დაიღვარა ასეთ პოლიტიკის წყალობით, მაგრამ ენერგიის დახარჯვისა და სისხლის დაღვრის მეტი არა გამოვიდა-რა. მართალია, ამოდენა სისხლის ღვრამ და სომეხ-მაკედონელთა უბედურებამ ყველგან დიდი თანაგრძნობა გამოიწვია, ოსმალეთის სულთანს „წითელი სულთანი“ უწოდეს საარაკო შეუბრალებლობისათვის, ორატორებმა მჭერმეტყველი სიტყვები წარმოსთქვეს პარლამენტსა და მიტინგებზე, პრესსა ხმამაღლა ღაღადებდა ოსმალურ რეჟიმის საშინელებას, მაგრამ დღესაც „ურემი ძველ ადგილას დგას“: სომხები და მაკედონელები ისევ მუხრუჭ მოჭერილები არიან და სალოდავად კვნესიან.

ძველ პოლიტიკის უვარგისობა ყველასათვის აშკარა შეიქნა; ყველამ დაინახა, რომ განათლებული ევროპა ერთ გროშს არ დახარჯავს, ერთ წვეთ სისხლს არ დაღვრის, თუ კი ათკეც სარგებლის აღების იმედი არა აქვს.

მაგრამ გაცილებით ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მეორე დიდ შეცდომის დაშვება იყო.

ოსმალეთის ქრისტიანები მარტო სულთანის მთავრობას-კი არ უცხადებდნენ ომს, ოსმალელ ხალხსაც ებრძოდნენ; ოსმალელი, რომელიც ქრისტიანზე ნაკლებ არ იტანჯებოდა თავის მთავრობისაგან, მტრად ჰყავდათ მიჩნეული და მასაც გაბოროტებით ეომებოდნენ. ოსმალო, რომელიც ქრისტიანებზე ნაკლებ არის განვითარებული პოლიტიკურად და მასთან სარწმუნოების გავლენის ქვეშ იმყოფება, საშინელის მძულვარებით იყო გამსჭვალული ქრისტიანებისადმი და გატაცებული ეხმარებოდა მთავრობას ქრისტიანების ყოველ აჯანყების დროს. ოსმალოს ასეთი საქციელი მით უფრო ბუნებრივი და გასამართლებულია, რომ აჯანყებული ქრისტიანები ოსმალეთის მტრებს იწვევდნენ საქმეში ჩასარევად.

არც ერთხელ არ უცდიათ ქრისტიანებს ძმურად მისულიყვნენ, თვალი აეხილათ მისთვის და დაენახვებინათ, რომ სულთანი ოსმალოსაც ისევე სტანჯავს, როგორც ქრისტიანებს. მტრულად უყურებდნენ ქრისტიანები იმ ოსმალურ ორგანიზაციასაც, რომელიც „ახალგაზდა ოსმალეთი“-ს სახელით ომს უცხადებდა სულთანის რეჟიმს და იწვევდა ოსმალეთის ყველა ხალხებს შეერთებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

დღეს ეს უდიდესი შეცდომა გასწორებულია. ახლად გასულ წლის მიწურულში პარიზში შესდგა კონგრესი ოსმალეთის სარევოლიუციო პარტიებისა და მათ შორის შეთანხმებაც მომხდარა. „ახალგაზდა ოსმალეთი“-ს ორგანო „მეშვერეტ“-ის 195 ნომერში დაბეჭდილია ამ შეთანხმების აქტი. მთელი თვე უმუშავნიათ სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა, დიდი დავა და ცხარე კამათი ჰქონიათ, ისეთი ცხარე, რომ კონგრესი კინაღამ არ დაშლილა, მაგრამ ბოლოს მაინც შეთანხმების აზრს გაუმარჯვნია და დღეს ოსმალეთის მტარვალ სულთანის წინაშე დგას გაერთიანებული ძალა რევოლიუციონერებისა, ძალა, გაორკეცებული ამ გაერთიანებით.

მეტად არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ სარევოლიუციო პარტიების ამ შეთანხმების დეკლარაცია, მით უფრო, რომ იგი თავის შინაარსით ძლიერ ჰგავს ჩვენს ახლო წარსულს და... აწმყოსაც.

„... აბდულ ჰამიდის ოცდაათის წლის მეფობა დამღუპველი იყო არა მარტო ქრისტიანებისათვის, როგორც ბევრი ჰფიქრობს შეცდომით, არამედ მაჰმადიანებისთვისაც. მაჰმადიანები გაღატაკებული, დამონებული და სასტიკად დასჯილი არიან, მათაც ელეტენ და თან და თან უსამართლოდ სახელს უტეხენ განათლებულ ხალხების თვალში, ვითომც სულთანისა და მის ჯალათების ბოროტმოქმედებისთვის პასუხის მგებელი მაჰმადიანები იყვნენ.

ოსმალეთის ყველა ხალხები გახდნენ მსხვერპლი აბდულ ჰამიდის გაუგონარ ბოროტებისა; ერთ ხალხს მეორეს მიუსევდა, ხელოვნურად მტრობასა და შურს სთესდა ეროვნებისა და სარწმუნოების ნიადაგზე. ყველამ იგემა დევნა, გადასახლება, საპატიმროები და ხოცვა-ჟლეტა. სომხების აწიოკება-ჟლეტა, რომელმაც „წითელ სულთანისა“ და „დიდი მკვლელის“ სახელი შესძინა მის ავტორს, დღეს არაბეთშია გადატანილი.

გარდა ამ ბოროტ-მოქმედებათა, აბდულ ჰამიდი მისდევდა ნელ-ნელა გამხრწნელ პოლიტიკას, რომელმაც მოსპო ოსმალეთის ყველა ცოცხალი ძალები. მისი მიზეზით შეჩერებულია ქვეყნის გონებრივი, ეკონომიური და სოციალური ცხოვრება.

სულთანს ეშინია განათლებისა და კულტურისა და ამიტომ მთელის თავის ძალღონით სცდილობდა სწავლას მოწყურებულ ხალხისათვის წაერთმია ყოველი საშუალება სწავლისა: ხურავდა სკოლებს, აწუხებდა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს; არსებულ სკოლებში კი წარმოუდგენელი ცენზურა გაამეფა.

ამ დროს პრესსა სრულიად დამონებულია; იგი ნება-დაურთველად ვერაფერს გამოაქვეყნებს და ამგვარად ოსმალეთის იმპერია გარშემორტყმულია უვიცობისა და სიცრუის კედლით.

არა თუ გონებრივ განვითარებას გადაეღობა წინ აბდულ-ჰამიდი, ხალხის ქონებრივ კეთილდღეობასაც უცარავდა ხელს: სიღატაკე და შიმშილია გამეფებული ოსმალეთში. უსამართლო გადასახადები, რომელსაც უსინდისო და გაუმაძღარი მოხელენი ჰკრეფენ, გზებისა და არხების გაყვანას კი არ ხმარდება, იგი იხარჯება სასახლეზე, ილდიზის კამარილიაზე, ჯაშუშებზე და ჟურნალ-გაზეთების მოსყიდვაზე ევროპის მისატყუებლად და აბდულ-ჰამიდის საქებ-სადიდებლად.

მიმოსვლის გაძნელება და არსებული საპასპორტო სისტემა შეუძლებლად ხდის სავაჭრო მოქმედებას; გადასახადების სისტემამ, მკვახშირობამ, უგზოობამ უკანასკნელ მდგომარეობამდე მიიყვანა სოფლის

მე და მე კი რამდენსამე საათს ვუცდიდიდი.

ალ. ხატისოვის შეკითხვაზე ლაზარენკომ განაცხადა, გუბერნატორის მოქმედებით ხალხი დარწმუნებული იყო, რომ უკანონოს და მთავრობის საწინააღმდეგოს არაფერს სჩადის და ამიტომ დაფარულად არც კი მოქმედებდა. მოძრაობა სახალხო იყო. გარდა ს.-დემოკრატებისა, გურიაში სხვა პარტიებიც მოქმედებდნენ, მაგრამ ს.-დ. პარტია უფრო ძლიერი და გავლენიანი იყო.

ვექილმა ტურკევიჩმა მოითხოვა პირისპირ დააყენონ ლაზარენკო და გუბერნატორად ნამყოფი სტაროსელსკი. პალატამ ამის გადასაწყვეტად სხდომა შესწყვიტა და სათათბიროდ გავიდა. პალატა თანახმა გახდა, ერთად გამოეკითხოს ლაზარენკოს და გუბერნატორად ნამყოფს სტაროსელსკის. ამის შემდეგ პალატამ განაგრძო სხვა მოწმეთა გამოკითხვა.

**ვასილ ხუნდაძე** (ოზურგეთის სტაროსტა). 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ხალხი შეიკრიბა და ქალაქის გამგეობის მოხელენი აირჩია. ნამდვილად არ ვიცი, ვინ მეთაურობდა საქმეს. ამბობდნენ—ს.-დ. პარტიის კომიტეტიაო. მაგრამ მე მაინც დანამდვილებით არ ვიცი.

**პროკურორი**. გურიის კომიტეტის არაფერი იცი?

**მოწმე**. ხმები იყო.

**პროკ**. მეთაური?

**მოწმე**. ზოგი ამბობდა, თუმანოვიაო, ზოგი რას. ნამდვილი არ ვიცი.

**პროკ**. კიდევ ვისზე ამბობდნენ?

**მოწმე**. ჩხიკვიშვილზე.

**პროკ**. ჩხიკვიშვილის პრეზიდენტობაზე არა გაგიგონიათ-რა?

**მოწმე**. არ ვიცი. ორი წლის საქმეა.

**პროკ**. მიტინგები იყო?

**მოწმე**. იყო—ბაღში და სხვაგან.

**პროკ**. თქვენც იყავით? სიტყვას ვინ ამბობდა?

**მოწმე**. არა ვყოფილვარ. სიტყვას ამბობდა ყველა, ვისაც შეეძლო ლაპარაკი.

**პროკ**. რას ამბობდნენ, არ გაინტერესებდათ?

**მოწმე**. ჭორი არ შემიძლია გადმოგცეთ, მე პირადად არა ვყოფილვარ.

**პროკ**. წითელ რაზმზე რა იცით. ვინ ხელმძღვანელობდა?

**მოწმე**. არ ვიცი, ღმერთმანი.

**პროკ**. ერქომაშვილს იცნობთ?

**მოწმე**. ვიცნობ. იმისაგან მოძრაობა და პოლიტიკა ისე შორსაა, როგორც ცა დედამიწისაგან.

**პროკ**. გურიის ს.-დემოკ. კომიტეტის სამხედრო შტაბზე რა იცით?

**მოწმე**. არ მახსოვს, არ ვიცი.

**პროკ**. იმ შტაბის მიერ გამოცემულ განცხადებაზე რას იტყვით?

**მოწმე**. არ მინახავს, არ წამიკითხავს, არ მახსოვს.

**პროკ**. თქვენ ქალაქის სტაროსტა იყავით. მითხარით, ქალაქის გამგეობის მოხელენი გამოსცვალეს თუ არა?

**მოწმე**. ჩვენ აგვირჩიეს 1904 წელს ოთხის წლით. ვადა ჩვენის სამსახურისა წრეულს სრულდება, მაშასადამე, 1905 წელს იგივე პირები იყვნენ, ვინც ეხლა არიან.

**პროკ**. დროებით თქვენ ვინ დაგითხოვათ?

**მოწმე**. შეიკრიბა ბრბო და აირჩიეს სხვა პირები.

**პროკ**. ლომჯარიას იცნობთ?

**მოწმე**. ვიცნობ. ხელობით მოვაჭრე იყო. მოძრაობის დროს თითქო განკარგულებას იძლეოდა: როდის გაეღოთ და დაეკეტათ დუქნები. ერთის სიტყვით, რასაც ხალხი უბრძანებდა, იმასასრულებდა.

**პროკ**. ღლონტს იცნობთ?

**მოწმე**. ვიცნობ. დალაქია, თერძობაც იცის. მოძრაობაში თვალ-საჩინო როლს არა თამაშობდა, რადგან საიმისო ჭკუის პატრონი არ არის.

**პროკ**. ტუღუშს იცნობთ?

**მოწმე**. ვიცნობ, მაგრამ იღებდა თუ არა მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას, არ ვიცი. ჩემგან ვიტა მოშორებითა სცხოვრობს.

ამის შემდეგ პროკურორმა განაცხადა, რომ მოწმე პირვანდელ ჩვენებასთან შედარებით ახლა სხვას ამბობსო. თავმჯდომარემ წაიკითხა ხუნდაძის პირვანდელი ჩვენება გამოძიებელთან. აი მოკლედ ეს ჩვენება. 1905 წლამდე გურიაში რევოლუციონური ორგანიზაცია არ იყო. 17 ოქტომბრის შემდეგ გაჩნდა რ. ს. დ. კომიტეტის ორგანიზაცია. მეთაურობდა ბენია ჩხიკვიშვილი და სხვები. ისინი ბათუმიდან მოვიდნენ; წინად ოზურგეთში არა სცხოვრობდნენ. ჩხიკვიშვილს ხალხი ეძახდა პრეზიდენტს, რადგან იყო კაცი მარჯვე და მომქმედი. არსებულ წესწყობილების დანგრევის მოსურნე იყო, მაგრამ რესპუბლიკა სურდა, თუ სხვა რამე, არ ვიცი. ხმები დადიოდა, რომ შეიარაღებული აჯანყება სურთო. ამბობდნენ, კიდევ, რომ წითელი რაზმი ჰყავთო, მაგრამ ვინ იყო ამ რაზმის შემადგენელი, არ ვიცი. გადაჭრით არ შემიძლიან ვსთქვა: ვინ შეადგინა, ვის ექვემდებარებოდა, კომიტეტს თუ სხვას ვისმე, წითელი რაზმი. მესმოდა შტაბის არსებობაზედაც, ქალაქში რაღაც პროკლამაციებს აწებებდნენ. დაბეჯითებით არ შემიძლიან ვსთქვა, ვინ ჩადიოდა ამას; არ ვიცი ისიც ნასაკირალის საქმე საორგანიზაციო კომიტეტის საქმე იყო თუ არა. 9 იანვარს 1906 წელს იყო დიდი მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. სიტყვა წარმოსთქვა ჩხიკვიშვილმა. ძირს თვითმპყრობელობაო და გაუმარჯოსო, მაგრამ არ ვიცი, ვის გამარჯვებას თხოულობდნენ. ჩვენ თანამდებობიდან გადაყენებასაც ითხოვდნენ და ახლების არჩევას პირდაპირ, ფარულ და თანასწორ კენჭის ყრით. გურიის კომიტეტში ჩხიკვიშვილის გარდა იყვნენ მღ. ნამყოფი შილაკაძე, გ. ცინცაძე და თუმანოვი, თუმცა უკანასკნელი ს. დ. არ იყო. ექიმზედაც ამბობდნენ, მონაწილეობას იღებდაო. ლომჯარია დადიოდა და განკარგულებას აძლევდა, როდის ევაჭრათ და როდის დაეკეტათ დუქნები. ვ. დუმბაძე უფროსობდა წითელ რაზმს. სხვათა შორის ქალაქის გამგეობაში აირჩიეს 16—17 წლის ქარცივაძე. ბენია ჩხიკვიშვილზე არაფერი ვიცი. გამიგონია მხოლოდ, რომ ნასაკირალის ბრძოლის წინად სამხედრო თავბირი იყოო. ბერია წინააღმდეგი იყო თავდასხმისაო, ამბობდნენ. სამაზრო სამმართველოს დარბევაში იღებდა თუ არა მონაწილეობას ჩხიკვიშვილი, არ ვიცი.

ეს არის პირვანდელი ჩვენება: 26 ნოემბერს ხუნდაძეს ხელახლა ჩამოართვეს ჩვენება. მაშინ აჩვენა: ქალაქის მოურავად აირჩიეს ახალაძე. საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარეობდა ახალაძე. მასთან იყო მუდამ ტუღუში.

მოწმემ განაცხადა, რომ მაშინაც ისა ვთქვი და ახლაც იმას ვამბობ, რომ დანამდვილებით არაფერი არ ვიცი, მხოლოდ ასე გავიგონე, ასე ამბობდნენო.

**ტურკევიჩი**. რა მოხელე კაცები იყვნენ ტუღუში და ლომჯარია?

**მოწმე**. უბრალო ვაჭრები: ჰყიდდნენ პურს, ვამლს.

**ტურკ**. ამორჩეულნი არ იყვნენ?

**მოწმე**. არ ვიცი. ხმოსნებს შორის არ მინახავს.

**პროკ**. რაც დაწერილია და თქვენ მიერ ხელ მოწერილი გამომძიებლის ჩვენებაზე, ხომ მართალია?

**მოწმე**. ისე უნდა იყოს.

**ხატისოვი**. რა დროიდან დაგითხოვეს მოურავობიდან?

**მოწმე**. დეკემბრის ბოლოს.

**ხატ**. მაშ მათ განკარგულებაში საქმეები სულ ორი კვირა ყოფილა.

**მოწმე**. არ ვიცი.

შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს ეკთიმე გორგასელიძეს, რომელმაც აჩვენა შემდეგი:

ამ საქმის თაობაზე მე ცოტა რამ ვიცი. ოზურგეთში გადამოიყვანეს 1904 წლის დამლევს. 1905 წლის მეორე ნახევარს როგორც მთელ რუსეთში, გურიაშიაც დაიწყო მოძრაობა. 17 ოქტომბრის შემდეგ როგორც სხვაგან, აქაც იმართებოდა მიტინგები. ზოგიერთებს მეც დავესწარი. სახოგადოებამ სკოლებს ბოიკოტი გამოუცხადა. მე მომანდო მთავრობამ წავსულიყავი სოფლებში და ამის თაობაზე ხალხთან მოლაპარაკება. მაშასადამე, საშუალება მქონდა ახლო გამეცნო ხალხის მოძრაობა და კიდევაც ვამტკიცებ, რომ გურიაში იგივე მოძრაობა იყო, რაც საერთოდ მთელ რუსეთში. არავითარი განსაკუთრებული ხასიათი აქაურ მოძრაობას არა ჰქონდა. ვიცნობ ბ. ჩხიკვიშვილსაც, როგორც ქვეყანას ჰკვიანს, პატიოსანს, წინ დახედულს, აუჩქარებელს და მშვიდს. ის მუდამ წინააღმდეგი იყო ტერორისა და სხვა რამ ძალადობისა. შეადგინეს საოკოლო ბიურო, რომელმაც იკისრა სკოლების გამგეობა. ნიშნავდნენ მასწავლებლებს. მე ჩემ სასწავლებლის თაობაზე მოვახსენე, რომ თუ ბიურო გაერია სასწავლებლის საქმეში, იძულებული ვიქნები დავკეტო სასწავლებელი მეთქი. ავუხსენი, რომ სკოლა უნდა ემსახურებოდეს ბავშვების აღზრდას და არა პოლიტიკას მეთქი. ბ. ჩხიკვიშვილმა დამიჯერა და მაშინ, როცა არც ერთი სხვა დაწესებულება მთავრობის აგენტების ხელში არ იყო, ერთად-ერთი სასწავლებელი დარჩა ჩემ გამგეობის ქვეშ. ჩხიკვიშვილს იმიტომ მოველაპარაკე ამ საქმეში, რომ ოზურგეთში მაშინ ყველაფერი ხალხის ხელში იყო. არც პოლიციის, არც სხვა ვინმე მთავრობის წარმომადგენლის ჭაჭანება არ იყო. ჩხიკვიშვილი არა თუ არ აღელვებდა მოსწავლეებს, ერთხელ მივიდა და მშვენიერი სიტყვა უთხრა, დამშვიდდით, და თქვენს უფროსს, ე. ი. მე, დაუჯერეთო. ვიცი ისიც, რომ საუკეთესო ნაწილი გურულებისა და მასთან ბენიაც წინააღმდეგი იყო ნასაკირალის საქმისა; როცა შეიტყეს ამბავი, საშინლად ეწყინათ. მახსოვს ამნაირი შემთხვევაც. ერთხელ მთავრობის განკარგულებით ქუთაისს მივდიოდი. ვაგონში, სხვათა შორის, ერთი კნეინა გავიცანი. მკითხა ოზურგეთის ამბები. შედარებით მშვიდობიანობაა, მხოლოდ ცუდად მოიქცნენ, რომ ნასაკირალთან ჯარს დაეცნენ მეთქი. თურმე ვაგონი სავსე ყოფილიყო ახალთაობის კაცებით. დამაყარეს ყოველმხრივ სიცილი და ლანძღვა. მე, მართალი გითხრათ, ძლიერ შემეშინდა. ვინანე, რა ეშმაკმა მათქმევინა ეს სიტყვები მეთქი. ამ დროს საიდანღაც გაისმა ბენია ჩხიკვიშვილის ხმა: «რა გინდათ, ეს კაცი სრულებით მართალს ამბობსო». დავესწარი ასეთ შემთხვევასაც. ვიღაცა ერთი ქურდი დაეჭირათ და ასამართლებდნენ. ყველანი იმახოდნენ ცუდი კაცია, უნდა გადავასახლოთო. წამოდგა ბენია და მოახსენა: «ამხანაგებო, გადასახლება ამ კაცისა უსამართლობა იქნება. ბევრი ხანი არ არის, რაც ქურდობა არა თუ სათაკილოდ, საპატიო საქმედ მიგვაჩნდა და ბევრი ჩვენგანიც მას ჩადიოდა. ეხლა დრო და აზრი შევიცვალეთ. ერთ წუთს ყველანი ხომ არ გარდაიქმნებიან. დავაცადოთ ამ კაცსაც, მივხედოთ ძმური დარიგება და თუ არ გასწორდა, მერე სხვა რამ მოვიგონოთო». საიმედო პირებისაგან ვიცი, ბენია ჩხიკვიშვილი რომ არ ყოფილიყო, ათჯერ უარეს უბედურება დატრიალდებოდაო.

**პროკურორი**. ოზურგეთში სცხოვრობთ? იცით ს.-დემ. კომიტეტი?

**მოწმე**. გავიგონე კი. ხალხს უფროსი არა ჰყავდა, ღვთის ანაბარა იყო მიტოვებული. წეს-რიგი საჭირო იყო. მე მივედი, როგორც მოგახსენეთ, 1904 წლის ბოლოს. მაშინ მხოლოდ ერთი მკვლელობა მოხდა. მოჰკლეს მომრიგებელი შუამავალი, მაგრამ არა პარტიულ, არამედ კერძო, პირად ნიადაგზე. 1905 წლის ბოლოს ოზურგეთში პოლიცია არც კი სჩანდა.

**პროკ**. მიტინგზე იყავით?

**მოწმე**. 9 იანვარს 1906 წ. და დეკემბრის 1905 წ.

**პროკ**. კომიტეტს რა სურდა?

**მოწმე**. წეს-წყობილების გამოცვლა.

**პროკ**. შეიარაღებულ ორგანიზაციაზე, წითელ რაზმზე რას იტყვით?

**მოწმე**. ისინი იყვნენ ხალხში წეს რიგის დამცველ-აღმადგენელნი, როგორც ასეთივე რაზმი ტფილისში, რომელსაც მთავრობის განკარგულებით 500 თოფი დაურიგეს. ეს კია, ამბობდნენ, თუ მთავრობის აგენტები ან კაზაკები არ დაიშლიან რბევა-უსამართლობას, ზომას მივიღებთო.

**პროკ**. ვინ სთქვა?

**მოწმე**. არ ვიცი.

**პროკ**. წითელი რაზმი იღებდა თუ არა მონაწილეობას ნასაკირალში?

**მოწმე**. დანამდვილებით არ ვიცი როგორც ამბობდნენ, თავდასხმა გადასწყვიტა ჩოხატაურის ჯგუფმა. ჩემის აზრით, უმთავრესი კომიტეტი ამას არ იზამდა.

პროკურორის შეკითხვაზე, რა იცით ნატანების წითელ რაზმზე, ამბობდა თუ არა ბენია—ძირს თვითმპყრობელობაო? მოწმემ განაცხადა—არა ვიცი-რაო.

**პროკ**. მამულაიშვილს იცნობთ?

**მოწმე**. კაცი ლოთი და ტრაბახა. მღვდელი, გაგზავნა-გამოგზავნისთვის [illegible].

**პროკ**. ერქომაიშვილი?

**მოწმე**. არ ვიცნობ, [illegible] ემახდნენ.

**პროკ**. ლომჯარიას?

**მოწმე**. ბუფეტი ჰქონდა. ათის თავი იყო.

**პროკ**. ქალაქის თვით-მართველობის არჩევნებზე რას იტყვით?

**მოწმე**. ყველანი ამბობდნენ, გუბერნატორის განკარგულებით იყოო რადა დაგიმალოთ, მეც დამარწმუნეს და მეც ვიდებდი მონაწილეობას არჩევნებში.

**პროკ**. მცირე წლოვანებიც იღებდნენ მონაწილეობას?

**მოწმე**. ადვილად შეიძლება. დრო ისეთი იყო. მთავრობას დავთარი დაებნა, არავინ არ იყო ნორმალურ კალაპოტში.

სხდომა შესწყვიტეს ორის წუთით. სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარე დაეკითხა გორგასლიძეს: 9 იანვარს მიტინგზე იყავით?

**მოწმე**. ვიყავი. ამბობდნენ არსებული წეს-წყობილების გამოცვლაზე.

როცა შეეკითხნენ ხელწიფის დღეობის არა უქმობაზე, მოწმემ განაცხადა: ჩემთან მართალია მოვიდნენ მოწაფენი და მითხრეს, რომ ხვალ (ხელმწ. დღეობა დღეს) უნდა ვისწავლოთო. მე საშინლად გეუცხოვე ასეთი მათი სურვილი. იმათ მითხრეს, მასწავლებლებიც თანახმანი არიანო მე მოვითხოვე მოეყვანათ ის მასწავლებელი, რომელიც პირის-პირ დავუყენე მოსწავლეებს და გამოირკვა, რომ საიმისო არა ყოფილიყო რა. უქმი ვიუქმეთ, მეცადინეობა არა ყოფილა. მე სწორედ ორ ცეცხლ შუა ვიყავი. სკოლა დამეკეტა, ხალხი მეორეს გახსნიდა და თავისს კაცებს დააყენებდა და მერე რეაქციის დროს მთავრობა ასეთ სკოლას არ მიიღებდა და სულ გაუქმებულად გამოაცხადებდა. მე ეს წინდაწინვე ვიცოდი და ამიტომ ვცდილობდი, ჩემის მოქმედებით ორი მიზნისთვის მიმეღწია: არც ხალხი გამეჯავრებინა ძლიერ და სასწავლებელიც დამერჩინა, რასაც მივაღწიე კიდეც.

ამ დღეს გამოჰკითხეს რამდენსამე მოწმეს, რომელთა ჩვენებასაც ხვალ მოვიყვანთ.

ჯუმინ, 23 იანვარს, საქმე ბრალდებულთა თანადასწრებით ირჩეოდა. 1 საათზედ ბრალდებულთა მოლოდინში, რადგანაც გაიგეს, რომ მეტეხის ციხიდან ბრალდებულნი მოდიან პალატაში და უნდათ მათ თანადასწრებით ირჩეოდეს საქმე, ბრალდებულნი მეტეხის ციხიდან მოიყვანეს. ჩხიკვიშვილმა ამხანაგების მონდობილებით განაცხადა: რადგან, თანახმად ჩვენის სურვილისა საქმე ხალხის თანადასწრებით ირჩევა და რადგან რკინის გზის მოხელეთა საქმეს ზოგიერთი ვექილები მორჩნენ და თანახმანი არიან დაგვიცვან ჩვენ, შესაძლებლად ვცნობთ დავესწროთ პალატის სხდომებს. ჩვენ, ბრალდებულნი, დამცველებად ვირჩევთ მოსკოვის ვექილებს მურავიოვს და კობიაკოვს და ადგილობრივ ვექილებს: გუნცაძეს, ი. მ დოლუხანოვს, გ. ჯ. ფარიძეს, რუდკოვსკის, ტ. იოანე-

---

მეურნეობა. უნაყოფიერესი ადგილები, რომელიც წინად მთელ ქვეყანას კვებავდა, დღეს უდაბნოდაა გადაქცეული. მადნეულობა და ტყეები დღემდე მოუხმარებელია; ის კონცესიები კი, რომელიც უცხოელ კაპიტალისტებს დაურიგეს, სარგებლობას აძლევენ მხოლოდ რამდენსამე უსინიდისო პირს.

ამიტომაც არის, რომ ოსმალეთის ყოველის კუთხიდან ათასობით მიდიან სხვა ქვეყნებში მცხოვრებლები, სტოვებენ სამშობლოს და თავისუფლებასა და ცხოვრების სახსარს ეძებენ ევროპასა და ამერიკაში. ემიგრაცია და „შიმშილი აგვირგვინებს ხოცვა-ჟლეტის საქმეს—ოსმალეთი იცლება ხალხისაგან.

რაც შეეხება გარეშე პოლიტიკას, ოსმალეთის მდგომარეობა უკეთესი არ არის. აბდულ-ჰამიდმა თავის პოლიტიკით სრულიად გაუტეხა სახელი იმპერიას. თანაგრძნობა დაწინაურებულ სახელმწიფოებისა, რომელთაც პარიზისა და ბერლინის ტრაქტატების საშუალებით დაიცვეს ოსმალეთი დანაწილებისაგან, გაჰქრა, რადგან ოსმალეთის მთავრობამ არ შეასრულა დანაპირები—არ შემოიღო დროზე რეფორმები, რომელიც განაახლებდა და ააყვავებდა იმპერიას. ათასჯერ აღთქმულ რეფორმების არ შემოღებით სულთანმა გამოიწვია თავის მოტყუებულ ქვეშევრდომების აჯანყება და უცხოელ სახელმწიფოების საქმეში ჩარევა. ამ საბედისწერო პოლიტიკამ გამოიწვია იმპერიის ტერიტორიის შემცირება; და თუ კიდევ გაგრძელდა იგი, ოსმალეთს მოშორდება ალბანია, მაკედონია, არაბეთი, სომხეთი და ის სახელმწიფოების სასარგებლოდ, რომელნიც ეძებენ ან თავის ტერიტორიის გადიდებას, ან საკოლონიზაციო ადგილებს, ან ფინანსიურ გამორჩენას.

დღემდე ამ რეფორმით გამოწვეული სარევოლიუციო მოძრაობანი ერთი მეორისაგან განცალკევებული იყვნენ. დღეს კი მაჰმადიანებისა და ქრისტიანების გაერთიანებულმა მოქმედებამ იმპერიის სხვა და სხვა ადგილს ცხადი გახადა, რომ ყველა ხალხებმა მოთმინება დაჰკარგეს ამდენ ტანჯვა-წვალების გამო, რომ ყველანი მიმხვდარი არიან სულთანის დამღუპველ პოლიტიკას. დღეს ყველა ხედავს, რომ თუ დაუყოვნებლივ ცვლილება არ მოხდა ოსმალეთის მართვა-გამგეობაში, საბოლოო კატასტროფა—ოსმალეთის განაწილება აუცილებელი იქნება. რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაიმხოს რეჟიმი, რომელმაც ამდენი უბედურება მიაყენა ქვეყანას.

ამიტომაც ჩვენი მოთხოვნაა:

1. **აბდულ-ჰამიდის ტახტიდან ჩამოგდება**,

2. **ძირითადი ცვლილება არსებულ წეს-წყობილებისა**.

3. **დამყარება წარმომადგენლობით წესწყობილებისა** (პარლამენტი).

უნდა გაჰქრეს ის პირი, რომელიც მთავარი დამნაშავეა ეხლანდელ უბედურებაში; უამისოდ შეუძლებელია რაიმე გაუმჯობესება. მასთან ერთად უნდა გაჰქრეს სისტემა ადმინისტრატიულ და პოლიტიკურ დესპოტისმისა, პოლიტიკურ ტერორისა და მატყუარა დიპლომატობისა. შემდეგ დამყარდება წარმომადგენლობითი წესი, რომლის საშუალებით მოვალეობასა და უფლებაში გათანასწორებული ხალხები იმპერიისა გამოსთქვამენ თავიანთ საჭიროებას და სურვილს, და რომელიც უზრუნველყოფს ყველასათვის სამართალსა და თავისუფლებას.

ასეთია საერთო მიზანი კონგრესისა, მიზანი, რომელიც ხატავს ოსმალეთის ყველა ხალხების, ერთის ქვეყნის შვილების, ერთნაირად დატანჯულების საერთო მისწრაფებას, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ სოლიდარულის მოქმედებით მოიპოვონ თავ-თავიანთი წილი კეთილდღეობისა და თავისუფლებისა. ვერთდებით საერთო ბრძოლისთვის, მაგრამ თვითეულ ორგანიზაციის ავტონომიას პატივსა ვსცემთ; ვერთდებით გულწრფელად, ძმურად და ბრძოლის დაწყებამდე, პირობას ვდებთ, მედგრად ვიყოთ; ვუცხადებთ სულთანს, რომ იარაღს არ ავყრით, სანამ ოსმალეთში არ გამეფდება ახალი ხანა.

მოვუწოდებთ ყველას დაგვეხმარონ ამ მძიმე და სასახელო საქმეში, რომელიც მოითხოვს გაუტეხელ ენერგიას და დიდ მსხვერპლს. ვიწვევთ ყველას—ცოდნისა და აზროვნების ხალხს, რომელსაც ნება არა აქვს თავისუფალ კვლევა-ძიებისა, სოფლისა და ქალაქის მუშებს, პურსა და მიწას დანატრულებულებს, გადასახადებით წელში გატეხილთ, მთავრობის აგენტებისაგან წამებულთ და გაძარცულთ, ვაჭრებს, რომელთაც ვაჭრობა ვერ მოუხერხებით შიშიანობისა და შევიწროვების მიზეზით, ჯარის კაცებს, უჯამაგიროთ, ჩ უცმელთ და დაუხურავთ, უჭმელთა და უსმელთ, რომელთაც ბატონი ძალას ატანს და თანამემამულეების წინააღმდეგ აბრძოლებს; ყველა ხალხებს, საშინელ მტარვალობით წელში გატეხილთ. ყველამ უნდა მონაწილეობა მიიღოს ამ წმინდა ბრძოლაში, ყველა უნდა გაიმსჭვალოს თავისუფლების, რეფორმის და რევოლიუციის აზრებით, რომ დაიმხოს სამარცხვინო რეჟიმი, რა საშუალების ხმარებაც არ უნდა შეიქნეს საჭირო. ოცდაათის წლის გამოცდილებამ მეტად სამწუხაროდ დაამტკიცა, რომ მშვიდობიანი საშუალება ბრძოლისა მტარვალობის საშინელ ძალასთან სრულიად საკმარისი არ არის. ყოველ თხოვნა-მუდარის სულთანმა ძალადობით, დატუსაღებით, გადასახლებით და ხოცვა-ჟლეტით გასცა პასუხი.

მთელი კონგრესი თანახმაა, რომ ოპოზიციის ჯგუფებმა რევოლიუციონურ საშუალებებს უნდა მიმართონ. ამას თხოულობს რევოლიუციონურ მოქმედების გამოცდილება საზოგადოთ და კერძოდ სომეხ-ოსმალოთა შეერთებული მოქმედება უკანასკნელ ხანებში. აზიის პროვინციების რამდენსამე ქალაქში რევოლიუციონური მოქმედება აუცილებელი ხდება თვით მთავრობის ძალმომრეობის მიზეზით. ღლევანდელი რეჟიმია, რომ რევოლიუციისკენ გვერეკება.

ვუცხადებთ, რომ მზად ვართ ბრძოლისათვის; ბრძოლის საშუალებად კონგრესმა აღიარა:

1. შეიარაღებული წინააღმდეგობა;

2. პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვა, გაფიცვა მოხელეებისა, პოლიციისა და სხვათა;

3 უარის თქმა გადასახადების გადებაზე;

4 პროპაგანდა ჯარში: ჯარის კაცს უნდა შეაგონონ, რომ არ წავიდეს არც ხალხისა და არც რევოლიუციონერების წინააღმდეგ;

5. საყოველთაო აჯანყება;

6. სხვა საშუალებანი საჭიროებისა და შემთხვევის შესაფერი.

აბდულ-ჰამიდის რეჟიმი დაიმხობა ახლო მომავალში, თუ ყველა, ვინც კი ამ რეჟ მის წყალობით იტანჯება, მოწადინებულია ჩვენსავით ებრძოლოს მას. დესპოტიზმის ზღუდე უკვე შერყეულია და საკმარისია ერთი მიწოლა, რომ დაინგრეს და ოსმალეთში უხვად შემოვიდეს სიმართლისა და თავისუფლების წმინდა სინათლე.

გაუმარჯოს აქამდე დაქსაქსულ ერების სოლიდარობას!

გაუმარჯოს რევოლიუციონურ ძალების ერთობას!"

ხელს აწერენ:

1. „ერთობისა და პროგრესის ოსმალური კომიტეტი", მისი ოფიციალური ორგანო—„შურაი-უმეთ" და „მეშვერეთ".

2. „სომეხების სარევოლიუციო ფედერაცია—დაშნაკცუტიუნ", ოფიციალური ორგანო—„დროშაკ".

3. „დეცენტრალიზაციისა კონსტიტუციის ოსმალური ლიგა", ორგანო—„ტერაკი."

4. „ეგვიპტის ისრაელთა კომიტეტი".

5 „ქოლაფეთის" რედაქცია, პროპაგანდის ორგანო (ლონდონში) არაბულსა და ოსმალურ ენაზე.

6. გაზეთ „არმენია"-ს რედაქცია.

7. „რაზმიგ"-ის რედაქცია (რევოლიუციონური ორგანო ბალკანეთში).

8. „ჰაირენიკ"-ის რედაქცია. რევოლიუციონური ორგანო (ამერიკა).

9. „აჰდი ოსმალი"-ს კომიტეტი (ეგვიპტე.)

ხიანცს და ტურკევიჩსათ. პალატამ მიიღო ეს განცხადება, მაგრამ მან არ შეიწყნარა ჯაფარიძისა, გუნცაძისა, იოანესიანცისა და ჩხიკვიშვილის წინადადება, რომ გამოკითხულ მოწმეებს ხელახლა ჩამოერთვათ ჩვენება. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბრალდებულთა და ვექილთა ბრალია, რომ დემონსტრატიულად დარბაზიდან გაზვედით და მოწმეების გამოკითხვას არ დაესწარითო.

(შემდეგი იქნება)

---

აქვე მოგვყავს საბრალმდებლო ოქმი ამ საქმის შესახებ. ოქმი გადმოგვცემს:

გურიაში, როგორც მთელ ქუთაისის გუბერნიაში, 1901—1902 წლებში დაწყებულ სარევოლიუციო მოძრაობას წინ უძღოდა აგრარული მოძრაობა. მიზეზი აგრარულ მოძრაობისა მიწის ნაკლებულობა იყო. ამან ძალზე გაამწვავა საქმე გლეხთა და მემამულე თუ მოიჯარადრეთა შორის. მოძრაობა გაძლიერდა და გაფართოვდა იმ რევოლიუციონურ ორგანიზაციის პროპაგანდამ, რომელმაც აზრად დაისახა არსებულ წეს-წყობილების დამხობა რუსეთში. მოძრაობამ უფრო ძლიერი და სტიქიური ხასიათი მიიღო 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ. დაიწყო მუშაობა ძველ რეჟიმის წინააღმდეგ. საქმეს ხელს უწყობდა მიტინგები და არალეგალური ლიტერატურა. პირველ ხანს მოძრაობა გამოიხატა მემამულეთა მიწების ჩამორთმევასა, საიჯარო ფულის გადაუხდელობასა, გაფიცვების მოხდენასა, ბოიკოტის გამოცხადებასა და იმათ მკვლელობაში, ვინც არ თანაუგრძნობდა და ხელს უშლიდა მოძრაობას. ამ ნიადაგზე მოჰკლეს აზ. ქარციძე, მომრიგებელი მოსამართლე ნაკაშიძე, ბოქაული კოსტავა, განიზრახეს მოკვლა ბოქაულის კვაშაძისა და დიდ ძალ სტრაჟნიკებისა; ბოიკოტი გამოუცხადეს პოდკოლზინს, თაყაიშვილს, მგელაძეს, ჯაყელს, ჰყონიას და სხვ. ბოიკოტი გამოუცხადეს აგრეთვე მთავრობის დაწესებულებებს, განსაკუთრებით საპოლიციოს და სასამართლოს. ხალხმა რევოლიუციონურ ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შეჰქმნა თავისი სასამართლო, თავისი სკოლა და სხვა დაწესებულებანი. შემდეგ შეუდგნენ ხალხის შეიარაღებასა და ეგრედ წოდებულ მებრძოლ რაზმების შედგენას. რაზმებში რიცხავდნენ ყველას, ვინც კი შესძლებდა იარაღის ტარებას. ორგანიზაციებმა ახლად შექმნილ დაწესებულებათა შესანახად ხალხს გააწერეს გადასახადი აბაზი კაცის თავზე და აგრეთვე სხვა გადასახადიც იარაღების შესაძენად, რაზმების შესანახად და სხვა და სხვა საჭიროებათათვის. იარაღს იძენდნენ ყველგან: ართმევდნენ კერძო პირთ, თავს ესხმოდნენ პოლიციას, ჯარსაც კი და ამ გზით იძენდნენ საჭირო საომარ მასალას.

გურიაში მოძრაობის პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა ბათუმის კომიტეტი რ. ს. დ. მუშათა პარტიისა, შემდეგ 1905 წელს გამოიყო განსაკუთრებული კომიტეტი, რომელმაც ბინა დაიდო ოზურგეთში და დაიწყო მოქმედება „გურიის" კომიტეტის სახელით. მანიფესტის გამოცხადებამდე კომიტეტი მოქმედებდა კონსპირატიულად, ხოლო შემდეგ უფრო აშკარად შეუდგა მაზრის ცხოვრების მართვა-გამგეობას. გურიაში ძლიერი იყო ს. დ. პარტიის მენშევიკების ფრაქცია. გურიის კომიტეტი მთელს თავის მოქმედებას უთანხმებდა რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობას და ცხოვრებაში გაჰყავდა პროგრამა რ. ს. დ. მ. პარტიისა. კომიტეტს ჰყავდა ათის თავები, ასის თავები, რაიონის წარმომადგენელნი და რაზმები. ოზურგეთის მაზრა დაყოფილი იყო შვიდ რაიონად; თითოეულს რაიონს თავისი ორგანიზაცია ჰქონდა. კომიტეტს ჰყავდა აგრეთვე „სამხედრო შტაბი". ამას ექვემდებარებოდნენ მებრძოლი ძალები. სამხედრო შტაბი მოთავსებული იყო ნოე ჩიგოგიძის სახლში. აქვე ინახებოდა იარაღი. შტაბივე განაგებდა ტერორისტების ჯგუფს, რომელიც ასრულებდა კომიტეტის გადაწყვეტილებას. ამისათვის ჯგუფის წევრთ განსაკუთრებული გასამრჯელოც ეძლეოდათ.

კომიტეტის მოქმედება გაძლიერდა 1905 წლის ბოლო თვეებიდან 1906 წლის იანვრის შუა რიცხვებამდე. კომიტეტის მოქმედება გამოიხატა შემდეგში: მან მოაწყო შეიარაღებული თავდასხმა ნასაკირალზე 1905 წელს 21 ოქტომბერს. მაზრის უფროსს ლაზარენკოს ეგონა, რომ რევოლიუციონერები თავს დასცემდნენ ჩოხატაურის საბოქაულოს სამართველოსა და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას. მოეკლათ სტრაჟნიკი საუთიევი, დაეჭრათ ფინდაროვი და დაშნიანი; ტყვედ წაეყვანათ ბოქაული გაგუა, და სტრაჟნიკები დათა მურზიევი და ქარციძე; წაეღოთ ათი სალდათის თოფი, 12 სანადირო თოფი, ერთი რევოლვერი და სხვა ნივთები. მაზრის უფროსი ლაზარენკო პლასტუნების მეორე ბატალიონის ასი ყაზახით და სტრაჟნიკებით ჩასულა ჩოხატაურში გამოძიების მოსახდენად. უკან დაბრუნებისას 21 ოქტომბერს მათ თავს დასცემია, თვით ლაზარენკოს ჩვენებით, არა ნაკლებ ოთხიათას კაცისა. უსროლიათ რამდენიმე ყუმბარაც. შემოუხსნიათ მხოლოდ 22 ოქტომბერს, რადგან ოზურგეთიდან ყაზახებს მოშველებია მეორე სოტნა. სამი ყაზახი უცნობებს, საბრალმდებლო ოქმით, გზაში დაუჭერიათ, გაუცარცვავთ, იარაღი წაუღიათ და ყაზახები მოუკლავთ. ნასაკირალზე მოუკლავთ 6 ყაზახი და 2 სტრაჟნიკი, დაუჭრიათ 13, უკვალოდ დაკარგულა 5 სტრაჟნიკი, 15 ცხენი გაუტაცნიათ, ხოლო 8 ცხენი სროლის დროს მოუკლავთ. შემდეგ დათვალიერებით გამორკვეულა, რომ მთელი გორა საფრებით ყოფილა მომზადებული. ყაზახების ამოწყვეტა ხმის უმეტესობით გადაუწყვეტია კომიტეტს. უნდოდა იარაღის ხელში ჩაგდება.

ამავე წელს, 7 დეკემბერს, მაზრიდან პლასტუნების გაყვანისათანავე, კომიტეტის განკარგულებით თავს დასცემიან მაზრის სამართველოს საპოლიციო დარაჯებს. სამართველოდან გაუტანიათ 25 თოფი და სხვა იარაღი. 10 დეკემბრამდე მაზრის სამართველოს და სამხედრო საკრებულოს შეიარაღებული ხალხი რამდენჯერმე დასცემია და გაუტანია იარაღი და სხვა ნივთები. საქმის ქაღალდები დაუწვავთ. სამართველოდან სულ გაუტანიათ 67 თოფი, 82 რევოლვერი, 22 ხანჯალი, 6 ხმალი და ერთი დამბაჩა. დაუკითხავად არავის შეეძლო მოქმედება „საველე სამხედრო სარევოლიუციო სასამართლოს" შიშით, რაც ხალხისათვის „სამხედრო შტაბს" უცნობებია შემდეგი მოწერილობით: „გურიაში არსებობს სარევოლიუციო სამხედრო შტაბი, რომლის ვალდებულება მებრძოლ რაზმების შედგენა და მის ხელმძღვანელობაა სარევოლიუციო გამოსვლის დროს. სამხედრო შტაბი შეურყევლად იცავს სამხედრო სარევოლიუციო დისციპლინას... ზოგიერთი მებრძოლი ჯგუფი გარეშე პირებთან ერთად ხშირად პირდაპირ ხულიგანურად იქცევა და იტაცებს რაც კი რამ ხელში მოჰხვდება. ამიტომ სამხედრო შტაბი აცხადებს: 1. სასტიკად აღკრძალულია ასეთი მოქმედება. 2. სასტიკად ეკრძალება კერძო პირთ ქ. ოზურგეთში იარაღის ტარება; 3. აღკრძალულია ვაჭრობა ან გაცვლა-გამოცვლა სამხედრო იარაღისა შტაბის ნება დაურთველად; 4. სამხედრო შტაბი დროიებით ქ. ოზურგეთში წესიერებისათვის ნიშნავს პატრულებს; 5. ვინც ამ განკარგულებას დაარღვევს, სამხედრო სამართალში იქნება მიცემული."

კომიტეტის განკარგულებით ოზურგეთში ქალაქის მოედანზე ხშირად იმართებოდა მიტინგები, რომელსაც ესწრებოდნენ წითელი რაზმელებიც წითელ დროშებზე ზედ წარწერით: „ძირს თვითმპყრობელობა", ძირს ნიკოლოზ II", „გაუმარჯოს რესპუბლიკასაო" და სხვ. გამოდიოდნენ ორატორები, ხალხს აღელვებდნენ და იწვევდნენ არსებულ წესწყობილების დასაცემად და დემოკრატიულ რესპუბლიკის დასამყარებლად. დიდი მიტინგები გაიმართა 6 დეკემბერს 1905 წ. და 9 იანვარს 1906 წ. ქ. ოზურგეთში და სოფელ შემოქმედში, სადაც, სხვათა შორის, ირჩეოდა საკითხი ნასაკირალის ულელტეხილზე თავდაცემის მოწყობის შესახებ. კომიტეტმა ნოემბრის ბოლო რიცხვებში გადააყენა ქალაქის თვითმართველობის მოხელენი, გააუქმა საქალაქო დებულება და საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულის კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა, სხვა პირები დანიშნა მოხელეებად. არჩეულებმა განდევნეს ძველი მოხელენი, ხელში ჩაიგდეს სადგომი და თვით შეუდგნენ ქალაქის საქმეების მართვა გამგეობას.

კომიტეტისა და შტაბის განკარგულებით, გურიიდან მებრძოლი რაზმები იგზავნებოდნენ ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში რევოლიუციონურ მოძრაობის გასაძლიერებლად. 15 ნოემბრიდან მილიციონერები იდგნენ ნატანებში, გაამაგრეს ოზურგეთის გზა-ტკეცილი ბარიკადებით და იცავდნენ დანიშნულ ადგილებს. ეს გარემოება მტკიცდება, სხვათა შორის, შემდეგის დეპეშებიდან: პირველის დეპეშით მეგრელიძეს ატყობინებს დელეგატი: „ჩვენს რაზმებს გურიიდან ნუ გაუშვებთ; მზად იყავით; უცადეთ სანამ შეგატყობინებთ". მეორე დეპეშით ჩხიკვიშვილს სწერენ: „მთავრობა აშკარად სასტიკ რეპრესიების გზას დაადგა; შეუძლებელია გავმაგრდეთ. გაფიცვა მოვხსენით. თქვენი ძალები საჭირონი არ არიან". კომიტეტისავე მეთაურობით დაარსდა განსაკუთრებული ბიუროები სასწავლებლების მართვა-გამგეობისათვის. დასასრულ საბრალმდებლო ოქმი კომიტეტსავე აბრალებს პლასტუნთა ბატალიონის შტაბიდან 300 თოფის გატანას. კომიტეტის მოქმედება და საერთოდ რევოლიუციონური მოძრაობა გურიაში შეჩერებულია 1906 წლის 11 იანვარს, როცა იქ დამსჯელ რაზმით ბათუმიდან პოლკოვნიკი კრილოვი ჩასულა.

(შემდეგი იქნება)

## თეატრი და ხელოვნება

—:—

**პეტერბურგი.** 15 იანვარს ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ თეატრ „კომედია"-ში ქართულად წარმოდგენილ იქნა ა. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა-ლეგენდა „ღალატი". უმთავრეს როლებს ასრულებდნენ: ბ. შ. შარაშიძე (სულეიმან-ხანი), ქ-ნი ჩირქაძე (ზეინაბი) ბ-ნი შ. ქვათარაძე (ოთარბეგი), ქ-ნი თ. შარაშიძე (გაიანე), ბ-ნი ვ. თურქია (ანანია გლახა), გ. გვარაძე (ერეკლე), ალ. არაბიძე (ბესო).

პიესამ ჩინებულად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რაც გამოიხატა მსახიობთა არა ერთხელ ტაშის ცემით დაჯილდოვებით და „ბრავოს" ძახილით.

პირველად გხედავთ, რომ სცენის მოყვარეთ ასე დაკვირვებულად, მწყობრად და შეგნებულად ხელოვნურად ჩაეტარებინოთ თავიანთი როლები. სხვებზე მეტი ყურადღება დაიმსახურა—და სრულიად დირსეულად—ქ-ნმა ან. ჩირქაძემ. თავიდან ბოლომდი ამ ახალგაზრდა ქალმა ჩინებულად და საუცხოვოდ ჩაატარა თავისი როლი. ნამეტნავად კარგი იყო მეორე და მესამე მოქმედებებში. გვგონებოდათ მრავალწლობით გაწვრთნილი და გამოცდილი მსახიობი თამაშობს თქვენ წინ და არა პირველად „ბედის მეძებრი" სცენის მოყვარე-დებიუტანტი სითამამე და გამბედაობა კიდევ უფრო აგვირგვინებდა ქ-ნ ჩირქაძის მოხდენილ თამაშს.

კარგი გაიანე იყო ქ-ნი თამ. შარაშიძე; დიდად ბუნებრივი იყო მისი სჯა-ბაასი მეორე მოქმედებაში თავის მამა რენეგატ ოთარბეგთან. ბავშური გულ-უბრყვილობა და ცნობის-მოყვარეობა გაიანესი, დახატული ქ-ნ შარაშიძის მიერ, ტკბილი და უბიწო იყო. თუმცა მოთამაშე ზოგჯერ უადგილოდ მეტ სიმორცხვეს იჩენდა, მაგრამ მისი ბუნებრივი სილამაზე და მოყვანილობა საუცხოვოდ ხდიდა მას სცენაზე.

ბ-ნი შარაშიძე—სულეიმან-ხანი—დაკვირვებით ასრულებდა ფანატიკოსის და მრისხანე სარდლის როლს. მხოლოდ პარიკი უხერხული ჰქონდა.

ბ-ნი ქვათარაძე—ოთარ ბეგი—სუსტი იყო პირველ და მესამე მოქმედებაში, დანარჩენებში კი საზრიანად თამაშობდა.

საუცხოვო იყო ბესო, ოთარ-ბეგის მოსამსახურე (ბ-ნი ალ. არაბიძე); მან თავისუფლად ეჭირა თავი სცენაზე და „მოსწრებულის სიტყვებით" დიდად აცინა დამსწრე საზოგადოება. დანარჩენები საერთო ანსამბლს არ აფუჭებდნენ.

საზოგადოდ, მოთამაშეთა ნაკლს შეადგენდა მეტის-მეტი სიჩქარე და სხვა-სხვა სიტყვებისა, ასე რომ ხშირად აზრის გარჩევა ძნელი იყო. ამ მხრით სხვაზე მეტად თავი ისახელა ქ-მა კრონიძემ (რუქაიას როლში). გამონაკლისს მხოლოდ ბ-ნი ვ. თურქია (ანანია გლახას როლში) შეადგენდა, რომელიც მეტად დინჯად თამაშობდა წარმოდგენას საზოგადოება საკმარისად დაესწრო. სხვათა შორის, წარმოდგენაზე იყო მგოსანი აკაკი.

რუსულმა გაზეთებმა, მაგალითად „რუსს"-მა ქებით მოიხსენია წარმოდგენა და სცენის მოყვარენი. მუსა.

## რუსეთი

—

**✦ ჯამაგირის მომატება.** იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს აფიცერთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად ზომების გამოძებნა, დაადგინა აფიცრებს ჯამაგირი მიემატოს ამნაირათ: პოდპორუჩიკებს და კორნეტებს მიემატოს 15 მანეთი თვეში; პორუჩიკებს—20 მ.; შტაბს-კაპიტნებსა და შტაბს-როტმისტრებს—25 მ.; კაპიტნებსა და როტმისტრებს—30 მ.; პოდპოლკოვნიკებსა და პოლკოვნიკებს—40 მ. ამას გარდა იმ პირებს, რომელნიც აფიცრობას ახლად იღებენ, უნდა მიეცეს ხოლმე ტანისამოსისთვის 300 მანათი, კავალერიის აფიცრებს კი ცხენისთვის—150 მანათი არის კიდევ სხვა ხარჯებიც. ყველა ამისათვის კი საჭირო ყოფილა სულ 15 მილიონი მანათი.

**✦ ფინლიანდია და რუსის პატრიოტები.** რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ფინლიანდიამ ისარგებლა და წართმეული უფლებები აღადგინა, ავტონომია დაიბრუნა. ავტონომიურმა ფინლიანდიამ ბევრი ისეთი დემოკრატიული პრინციპი განახორციელა, რანაირზედაც რუსეთის მცხოვრებლები ჯერ-ჯერობით მხოლოდ ოცნებობენ. ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევს რუსის პატრიოტებს. არიქა, რუსეთის მთლიანობა ირღვევა, რუსეთის საფრთხე მოელისო, გაჰკივიან მარჯვნითა და მარცხნით შავრაზმელები. როგორც ოფიციოზური გაზეთი „როსსია" გადმოგვცემს, სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე დეპუტატებს განუზრახავთ ფინლიანდიის შესახებ შეკითხვა შეიტანონ სათათბიროში. მემარჯვენე დეპუტატები აცხადებენ, ჩვენს მოვალეობას შეადგენს ეხლავე გიჩვენოთ, რა დიდი საფრთხეც მოელის რუსეთს რას უმზადებს რუსეთის მთლიანობას ფინლიანდიაო. როგორც ამბობენ, შეკითხვის ინიციატივა პურიშკევიჩს ეკუთვნის.

**✦ ლოკაუტები.** ვარშავისა და ლოძის მრეწველებმა ისევ მიმართეს ძველებურ ზომებს—ლოკაუტს. ლოკაუტით მექარხნეებს უნდა აღადგინონ ისეთივე წესები, რანაირიც 1905 წლამდე არსებობდა. მაგრამ მექარხნეებს ავიწყდებათ, რომ ბრძოლით მოპოვებულ უფლებებს მუშა ხალხი ასე ადვილად არ დაუთმობს ესეც რომ არ იყოს, უკანასკნელ ხანებში ცხოვრება ისე ძალიან გაძვირდა, რომ ეხლაც კი უძნელდებათ მუშებს თავის გამოკვება. ამისთანა პირობებში, რა თქმა უნდა, მუშები მექარხნეებს არას გზით არ დაუთმობენ და ბრძოლას განაგრძობენ იმ დრომდე, სანამ მექარხნეთა სიჯიუტეს არ გასტეხენ.

**✦ პოლონელთა კლერიკალები.** პოლონელთა კლერიკალები დიდს წინააღმდეგობას უწევენ პროგრესიულ საზოგადოებებს. „ისევ სჯობიან სახალხო განათლების საქმე სულ დაიღუპოს, ვიდრე იგი ვარშავის „პოლონეთის კულტურას" ან სხვა რომელიმე პროგრესიულ საზოგადოებას ჩაუვარდესო", ამბობენ პოლონეთის კლერიკალები. ამათ გადაუწყვეტიათ, ყველა სამრევლოში ამოირჩიონ რამდენიმე „კეთილ-საიმედო" პირი და მოაწყონ ორგანიზაცია, რომელიც პროგრესისტთა ტენდენციებსა და სურვილებს უნდა შეებრძოლოს.

**✦ ხმები სტოლიპინის შესახებ.** ხმა გავრცელდა, სტოლიპინი სამსახურს თავს აებებსო. ბევრს ეს ხმები სრულიად უსაფუძვლოდ ეჩვენება, ბევრი კი მის მოადგილედ უკვე ტრეპოვს ასახელებენ. ფიქრობენ, რომ ამ ხმების გავრცელებას ხელი შეუწყო მოსალოდნელმა კონფლიქტმა მთავრობასა და სათათბიროს შორის. ეხლა, როდესაც ფლოტის საკითხი შესუსტდა, ალაგავისა სჯერა, რომ სტოლიპინი სამსახურს თავს დაანებებს.

---

რედაქტორი ვალ. გუნია.

გამომცემელი ე. ავალიშვილი.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ხ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ვ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ც. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუგანლოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გემდოშვილი:** 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. გარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. უშერმანნი:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 11—12 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ხ. ა. ნავასარდიანი.**

(544—წლ.—15)

# სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**მუდმივ საწოლებით. ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.**

ადრესი: ელისაბედის ქ., № 79, ტელეფ. 1026.

**მიხ. ალიხანოვი:** 11—12 ს. შარდ., კან., და სიფილ.

**ნ. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს ნერვ. ავად., ელექტ. წამლობა.

**გ. ა. ლუსტოვი:** 11—1 ს, შინაგანი.

**მ. პ. კამონცი:** 1—2 ს. ქირურგიული.

**მ. რ. ელიჩიევი:** 1—2 ს. ყელისა, ყურ. და ცხვირისა.

**პ. ა. ზეიერი:** 2—3 ს. ბავშვისა და შინაგ., ყოველ დღე, სამშაბათსა და პარასკ. გარდა.

**ი. ნ. თუმანოვი:** საღამ. 5—6 ს. ქალისა და ბებიაობა.

მკურნალობა ჰიპნოზით; მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. არის საზოგადო პალატები და ცალკე ოთახები. (100—551—8)

# ვამზადებ

• ნემეცურ მასწავლებლის ხარისხის მისაღებად და აგრეთვე ვწრთვნი ბავშვებს საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასებში. გათავებული მაქვს ცენტრალური ნემეცური სასწავლებელი.

ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა, № 58. ნახვა 3—6 ს. (3—36—3)

# პირველი

## სტენოგრაფიული კურსები კავკასიაში

ოჰანეზ აკოფიანი

ტფილისი, განთვის ქუჩა, № 7.

სტენოგრაფია არის ისეთი ხელოვნება, რომელიც კაცს შეძლებას აძლევს ისევე ჩქარა სწეროს, როგორც ლაპარაკობს.

კურსებზე სწავლება რუსულად. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის სწავლება მიწერ-მოწერით.

მოსწავლეთა მიღება საღამოს 4—7 საათზე. გეგმები და პროგრამები მსურველთ კურსებზე მიეცემათ. (3—47—2)

# ვიყვან

მოსწავლეებს I და II განყოფილებისათვის როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, ქართულ გიმნაზიისათვის, ხელმისაწვდენ ფასებში.

ადრესი: ორბელიანის ქუჩა, № 14, ი. კაპანაძე. (2—2)

# საოჯახო სასტუმრო

## „Семейные номера"

შუა ქალაქში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, ელისაბედის ქუჩაზე, სახლი მილოვისა, № 1. იძლევა ქირით ოთახები თვიურად და დღიურად. თვიურად 15 მანეთიდან 50 მანეთამდე და დღიურად 60 კაპ. 2 მანეთამდე ოთახები მშრალი, თბილი და ნათელია. შეიძლება ოთახების გაქირავება ჭამა-სმითაც. სრული მშვიდობა და მყუდროება.

**ყველას ვთხოვ ჩემი მანეთიანი ოთახი შეადაროს სხვის ორ მანეთიან ოთახს.** (20—509—17)